



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/46

ქ. თბილისი


27 ივნისი 2018

სტუ-ის 2018 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 4 ივნისის №05-01/51 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ივნისის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე

1.ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებსა და სტუ-ს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულებების საფუძველზე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის „საერთაშორისო გრანტების“ გრაფა ექვემდებარება გაზრდას 64 359 ლარით, საიდანაც საგრანტო პროექტი ARMAZEG N544605-TEMPUS-1-2013-1 (ხელმძღვანელი თ.ლომინაძე) შეადგენს 34 341 ლარს, ხოლო საგრანტო პროექტი ERASMUS+ N585760-EEP-1-2017-1-AM-EPPK2 (ხელმძღვანელი ო.ზუმბურიძე) – 30 018 ლარს. გადასახდელები შესაბამისად გაიზარდოს 64 359 ლარით და გაიწეროს „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამით“, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

2. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის გრანტების ხარჯთაღრიცხვებსა და შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელია ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

2.1 სამეცნიერო ფონდის N217330 გრანტისა (ხელმძღვანელი გ. პეტრიაშვილი) და ნაერთი ბიუჯეტის „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამის“ ხარჯთაღრიცხვაში „მივლინების“ ხარჯებიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ პუნქტში;

2.2 სამეცნიერო ფონდის N217754 გრანტისა (ხელმძღვანელი ო. სესკურია) და ნაერთი ბიუჯეტის „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამის“ ხარჯთაღრიცხვაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ პუნქტიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ პუნქტში;

3.სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელია ცვლილება, კერძოდ,

3.1 სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ პუნქტიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა ხარჯების“ მუხლში;

3.2 ეკონომიკური საქმიანობის, კერძოდ იჯარიდან მიღებული შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ პუნქტიდან 1 800 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა ძირითადი აქტივების პუნქტში“;